ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.32/10/104

ქ. თბილისი 24 დეკემბერი, 2013 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელის გ. ხუროშვილის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. ფ/პ ნიკოლოზ წულუკიძე (შემდგომში –მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისათვის, დამსახურებული და ამაგდარი პენსიონერებისათვის, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე ხელოვანი ადამიანებისათვის ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით 2013 წლის 26 დეკემბერს წვეულებათა დარბაზ „ფუნიკულიორში“ გასამართი ღონისძიებისათვის წამყვანის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV92300000).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1 250 (ერთი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის დრო და პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება - 2013 წლის 26 დეკემბერს 17^{00} სთ-დან 23^{00} სთ-მდე.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, მთაწმინდის ზედა პლატო, წვეულებათა დარბაზი „ფუნიკულიორი“.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირებია - ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მ. გიგაური, გამგეობის აპარატის უფროსი ლ. გელოვანი და გამგეობის თანაშემწე ი. ფხოველიშვილი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

5.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან გაწეული მომსახურების უხარისხობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებლო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

საბურთალოს რაიონის გამგეობა
მის: მიცკევიჩის ქ. №29
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
კოდი: LBRTGE22
ა/ა№ GE95LB0125152101627000
ს/კ: 205 303 820

მიმწოდებელი:

ფ/პ ნიკოლოზ წულუკიძე
მის: დ. აღმაშენებლის №108
ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა№ GE62TB0678845063622480
პ/ნ: 01030032668

გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

გ. ხუროშვილი

ფ/პ ნიკოლოზ წულუკიძე

ნ. წულუკიძე